საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი

აქტი

ქ. ზუგდიდი 24 ოქტომბერი 2014წ.

ერთის მხრივ - ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი გოგოხიას სახით.

მეორეს მხრივ - შპს „კუპერ–მონტაჟი" (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დირექტორის, ნოდარ ძიგუას მინდობილი პირის იაშა აკობიას(13.05.2013 წლის №130462986 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) სახით.

შევადგინეთ წინამდებარე აქტი 2014 წლის 13 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 3 ოქტომბრის №61 განკარგულების საფუძველზე, გაფორმებული №16 ხელშეკრულების ფარგლებში ქ. ზუგდიდის 2014 წლის ბიუჯეტის სახსრებიდან, ქალაქ ზუგდიდიში მშენებარე ყინულის მოედნის დანადგარების ელექტრომომარაგების მიზნით, ტრანსფორმატორიდან დანადგარებამდე ელექტროგაყვანილობის მოწყობის შესყიდვაზე განხორციელებულ სამუშაოებზე.

კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ინსპექტირების ჯგუფის 2014 წლის 24 ოქტომბრის №1/16 საბოლოო დასკვნის საფუძველზე დადგინდა - ქ. ზუგდიდში მშენებარე ყინულის მოედნის დანადგარების ელექტრომომარაგების მიზნით, ტრანსფორმატორიდან დანადგარებამდე ელექტრო გაყვანილობის მოწყობის მიზნით ელექტრო–სამონტაჟო სამუშაოების მოწყობაზე შესრულებულია 7900,0 (შვიდიათას ცხრაასი) ლარის ღირებულების სამუშაოები.

დანართი:

1) ინსპექტირების ჯგუფის 2014 წლის 24 ოქტომბრის დასკვნა №1/16 - 1 ფურცლად.
2) საბოლოოდ შესრულებული სამუშაოების აქტი (ფორმა №2) - 3 ფურცლად.

აქტი შედგენილია სამ პირად,
გადაეცემა:

1. „მიმწოდებელს„შპს „კუპერ–მონტაჟი" -ს.
2. ქ. ზუგდიდის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს.
3. ქ.ზუგდიდის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

ი.გოგოხია ი.აკობია